მოკლე ბიოგრაფია
გიორგი ვაშაკიძე არის სამართლის დოქტორი (PhD), საერთაშორისო კერძო და ევროპული სამართლის სპეციალისტი, მრავალწლიანი აკადემიური, საჯარო და საექსპერტო გამოცდილებით. მან სამართლის დოქტორის ხარისხი (magna cum laude) მიიღო ჰამბურგის უნივერსიტეტში, სადაც ასევე დაამთავრა LL.M (summa cum laude) საერთაშორისო კერძო და სავაჭრო სამართალში და ევროპათმცოდნეობის მაგისტრატურა. იგი იყო მაქს პლანკის შედარებითი და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტის მოწვეული მკვლევარი. ამჟამად გიორგი ვაშაკიძე არის საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი ჰოლდინგური ჯგუფის — Smart Capital Group-ის იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სადაც პასუხისმგებელია კორპორაციულ სტრუქტურირებაზე, საინვესტიციო პროექტების სამართლებრივ უზრუნველყოფაზე, საერთაშორისო ტრანზაქციებზე და რეგულატორულ შესაბამისობაზე. სხვადასხვა პერიოდში გიორგი ვაშაკიძეს ეკავა მინისტრის მოადგილის პოზიცია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში და ხელმძღვანელობდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. გარდა ამისა, იყო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი. იგი ასევე მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამებში სამართლებრივი განათლებისა და ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით. გიორგი ვაშაკიძე აქტიურად ეწევა აკადემიურ საქმიანობას — სხვადასხვა წლებში იყო ასოცირებული პროფესორი და მოწვეული ლექტორი საქართველოსა და უცხოურ უნივერსიტეტებში. მისი სამეცნიერო ინტერესების სფერო მოიცავს საერთაშორისო კერძო სამართალს, ევროპულ კერძო სამართალს, სამოქალაქო სამართალსა და სამართლის ტრანსფორმაციის საკითხებს. იგი არის არაერთი მონოგრაფიისა და სამეცნიერო სტატიის ავტორი, მათ შორის საერთაშორისო გამოცემებში (Mohr Siebeck, Edward Elgar, Springer). მას მონაწილეობა აქვს მიღებული საკანონმდებლო რეფორმების პროცესში როგორც ექსპერტს საქართველოს პარლამენტთან, UNDP-სთან, GIZ-სთან და ევროკავშირის პროექტებთან. გიორგი ვაშაკიძე ფლობს ქართულ, გერმანულ, ინგლისურ და რუსულ ენებს.
გამოქვეყნებული სტატიები
1. გიორგი ვაშაკიძე/სერგი ჯორბენაძე, ჰააგის 2007 წლის 23 ნოემბრის კონვენცია ბავშვის სასარგებლოდ ალიმენტის საერთაშორისო გადახდევინებისა და ოჯახის რჩენის სხვა ფორმების შესახებ და ჰააგის 2007 წლის 23 ნოემბრის ოქმი რჩენის ვალდებულების საკითხებზე გამოსაყენებელი სამართლის თაობაზე (კომენტარები), თსუ (2025). 2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, მუხ. 316-318, 390-407, 952-953, ჭანტურია, ლადო (მთ. რედაქტორი), (გამოიცემა 2018 წ.).

3. ევროკავშირის კერძო სამართალი, მომხარებელთა დაცვის სამართალი, შრომის სამართალი, საკორპორაციო სამართალი, კონკურენციის სამართალი, რჩეული გადაწყვეტილებები და მასალები (2018).

4. Das Internationale Privatrecht von Georgien, Studien zum ausländischen und internationalen Privatrecht (StudIPR), Mohr Siebeck, Tübingen, 2014.

5. სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, სიესტა, თბილისი, 2010;

6. Kodifikation des Internationalen Privatrechts in Georgien, in: Transformation durch Rezeption? Möglichkeiten und Grenzen des Rechtstransfers am Beispiel der Zivilrechtsreformen im Kaukasus und in Zentralasien, Eugenia Kurzynsky-Singer (ed.), Studien zum ausländischen und internationalen Privatrecht (StudIPR), Mohr Siebeck, Tübingen, 2014.

7. National Report on Georgia, in: European Encyclopedia of Private International Law, Basedow, Jürgen et al. (eds.), Edward Elgar Publishing, London (2017).

8. ვენის 1980 წ-ს საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის შესახებ კონვენციის განმარტება და მასში საკანონმდებლო ხარვეზების შევსების პრობლემა, კანონი და მართლმსაჯულება, 4/2006, თბილისი 2006.

9. კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი (ქართ/ინგ.), ქართული სამართლის მიმოხილვა, 3/2007.

10. ხელშეკრულებათა განმარტების თეორიული ასპექტები და ობიექტური განმარტების მნიშვნელობა მხარეთა ნების დადგენისათვის, კანონი და მართლმსაჯულება, 3/ 2007 თბილისი, 2007.

11. Giorgi Vashakidze, Non-recognized States in Private International Law: Georgian Perspective, in: Alexander Trunk, Anastasiia Rogozina, Marina Trunk-Fedorova (eds.), Non-Recognized States in the Post-Soviet Region under International Trade Law, Private International Law and International Civil Procedure, Springer (2025), pp. 127-13.